სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2020 წლის 3 ივლისის №124/01-01 ბრძანების საფუძველზე ქიმიის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №59 /2020/ **დადგენილების** საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

11 სექტემბერი 2020 წ. ქ. თბილისი, თსუ

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ბეჟან ჭანკვეტაძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);
2. **იოსებ ჩიკვაიძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარის მოადგილე**);
3. **ნელი სიდამონიძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (**კომისიის მდივანი**);
4. **მაია რუსია** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე **ქიმიის დეპარტამენტის, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის** ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

კომისიის თავმჯდომარემ **პროფ. ბეჟან ჭანკვეტაძემ** მიმოიხილა პრეტენდენტ **გიორგი ბეზარაშვილის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები. აღინიშნა, რომ პრეტენდენტი ყველა კატეგორიაში შეფასდა „მაღალი“ შეფასებით. კონკურსანტმა გასაუბრებისას გამოავლინა მაღალი ერუდიცია, სამეცნიერო საკითხების ღრმა ხედვა, მსჯელობის და დასაბუთების მაღალი კულტურა, აკადემიური პროცესის საფუძვლიანი ცოდნა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქიმიის დეპარტამენტის **ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის** ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს კონკურსანტი **გიორგი ბეზარაშვილი.**

პროფ. ბეჟან ჭანკვეტაძე
კომისიის თავმჯდომარე

ასოც.პროფ. ი.ჩიკვაიძე
კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე,

ასოც.პროფ. მაია რუსია
კომისიის წევრი

ასოც.პროფ. ნ.სიდამონიძე
კომისიის მდივანი